ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 30-125

"24" დეკემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №16-32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტისა და "ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული დებულებების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-32 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში (www.matsne.gov.ge, 09/12/2014, 010260030.35.101.016035) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) დებულების მე–2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე–მერი) ან მოადგილე."

ბ) დებულების მე–2 მუხლის მე–2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ" ქვეპუნქტი:

„გ[1]) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;“

გ) მე–4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბჭოს თავმჯდომარე არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის პირველი მოადგილე (ვიცე–მერი) ან მოადგილე.“

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20–104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ა)პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20–104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება განაპირობა კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა.

2015 წლის 08 ივლისს, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კოდექსის 79–ე მუხლის პირველ პუნქტით დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა. ასევე, კოდექსის 79–ე მუხლის მე–11 პუნქტით დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავდროულად, საქართველოს მთავრობასა და მუნიციპალიტეტებს დაევალათ აღნიშნული ცვლილებების ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყონ სათანადო ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა და ამ კანონით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების მიღება.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდებაში (დებულებაში), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეიცვლება სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი, სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი, სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილების

სახელწოდება და სასამართლოსთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების ფუნქციებს დაემატება, განყოფილების მიერ, სამსახურის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა ადმინისტრაციულ ორგანოებში.

ბ)პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. პროექტით დადგენილი არ არის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი და არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ)პროექტის ავტორ(ებ)ი და წარმდგენი:

გ.ა)პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

გ.ბ)პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.